



With the support of the  
Erasmus+ Programme  
of the European Union



კავკასიის სამართლის სკოლა  
CAUCASUS SCHOOL OF LAW



კავკასიის უნივერსიტეტი  
CAUCASUS UNIVERSITY



პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი ჩარჩო  
ევროკავშირში, ევროსაბჭოსა და საქართველოში  
(ტრენინგის მოდული)

თამარ ქალდანი

Project N° 619948-EPP-1-2020-1-GE-EPPJMO-PROJECT

2021

@კავკასიის უნივერსიტეტი  
@ავტორი

## *ტრენერი და ტრენინგის მოდულის ავტორი - თამარ ქალდანი*

იურისტი და ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტი, კერძო და საჯარო სექტორებში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის 20 წლიანი გამოცდილებით;

საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი/სახელმწიფო ინსპექტორი 2013-2019 წლებში;

2018 წლიდან ევროპის საბჭოს პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ 108-ე კონვენციის საკონსულტაციო საბჭოს პირველი ვიცე-პრეზიდენტი;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული სტანდარტების სერტიფიცირებული პროფესიონალი (CIPP/E);

2019 წლიდან პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო ექსპერტი ევროპულ, აზიურ და აფრიკულ ქვეყნებში მუშაობის გამოცდილებით, როგორც საკანონმდებლო ასევე საგანმანათლებლო მიმართულებით;

პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლის მოწვეული ლექტორი საქართველოს 3 წამყვან უნივერსიტეტში, მათ შორის კავკასიის უნივერსიტეტში.

[tkaldani@cu.edu.ge](mailto:tkaldani@cu.edu.ge)

## სარჩევი

1. ტრენინგის მიზანი .....	2
2. ტრენინგის ამოცანები.....	2
3. ტრენინგის ჩატარების მეთოდი .....	2
4. ტრენინგის ხანგრძლივობა .....	3
5. სამიზნე ჯგუფი.....	3
6. ტრენინგის მასალები .....	4
7. ტრენინგის ტექნიკურ-ლოგისტიკური მხარე.....	4
8. ტრენინგის დაწყება, მსვლელობა და პროცედურა.....	4
9. ტრენინგის შინაარსი .....	4
9.1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის კონცეფცია და ევროპული სტანდარტი.....	4
9.2 პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა.....	6
10. წყაროები .....	7

## 1. ტრენინგის მიზანი

ტრენინგი ხორციელდება ევროკომისიის დაფინანსებით Erasmus + პროგრამის Jean Monnet Project-ის „ევროკავშირის სამართლებრივი სახე“ (LFEU) ფარგლებში. ამ პროექტის ერთ-ერთი მიზანია ტრენინგების ციკლის ორგანიზება კავკასიის უნივერსიტეტში სამართლის სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში, რათა ევროკავშირის სამართლის სწავლებით გავრცელდეს ევროკავშირის შესახებ სწორი ინფორმაცია, ამაღლდეს ცოდნის/განათლების დონე, მოხდეს ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების პოპულარიზება, ხელი შეეწყოს ევროპული სწავლების განვითარება-გაძლიერებას.

ტრენინგის „პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი ჩარჩო ევროკავშირში, ევროსაბჭოსა და საქართველოში“ მიზანია ევროკავშირისა და ევროსაბჭოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოსა და სტანდარტებთან საქართველოს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობის შეფასების შესახებ ცოდნის შექმნა და გავრცელება.

## 2. ტრენინგის ამოცანები

ტრენინგის ამოცანებია:

- პირადი ცხოვრებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტუალურ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება;
- მონაცემთა დაცვის ახალი ევროპული რეგულაციისა და მოდერნიზებული ევროსაბჭოს კონვენციის სიახლეების განმარტება და შედარება საქართველოს საკანონმდებლო სტანდარტებთან.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების აღწერა და მათი საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის მიმოხილვა.
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა და მათთან მიმართებით საქართველოს კანონმდებლობის შეფასება.

## 3. ტრენინგის ჩატარების მეთოდი

ტრენინგის ფარგლებში განხორციელდება დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებზე თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემა, საქართველოს და ევროპული მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დებულებების აღწერა და

ინტერპრეტაცია; როგორც ევროპული სასამართლოებისა და საზედამხედველო ორგანოების, ასევე ქართული საზედამხედველო ორგანოს კონკრეტული გადაწყვეტილებების (ქეისები) წარდგენა აუდიტორიისათვის და მონაწილეთა ჩართულობით მათი განხილვა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ევროკავშირისა და ქართული კანონმდებლობის შედარებას და იმ საკითხების გამოვლენას, სადაც აუცილებელია შემდგომი ჰარმონიზაცია და ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

ტრენერი გამოიყენებს პრეზენტაციის/აქტიური ლექციის, დისკუსიის და ჯგუფური მუშაობის მეთოდებს;

ტრენინგის მსვლელობისას უზრუნველყოფილი იქნება მონაწილეთა ჩართულობა (რეპლიკების, კომენტარის, დასაზუსტებელი შეკითხვებისა და შეფასებითი მოსაზრებების წარმოდგენის სახით).

ტრენინგის მსვლელობისას, თითოეული სესიის დასრულებამდე 10-15 წუთი დაეთმობა დისკუსიას, კითხვებზე პასუხის გაცემას.

#### 4. ტრენინგის ხანგრძლივობა

ტრენინგი ითვალისწინებს ერთდღიან მუშაობას. იგი იწყება 10.00 საათზე და სრულდება 18.00 საათზე; გათვალისწინებულია შესვენებები.

#### 5. სამიზნე ჯგუფი

ტრენინგი გამიზნულია ფართო სამიზნე აუდიტორიისათვის, კერძოდ, პროფესიული და აკადემიური წრეების წარმომადგენლებისთვის, საჯარო მოხელეების, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების, პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების, უნივერსიტეტების ადმინისტრაციული პერსონალის, ასოცირების შეთანხმების შესრულების მონიტორინგში ჩართული სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისთვის.

ტრენინგის შესახებ კავკასიის უნივერსიტეტის ტრენინგ ცენტრი წინასწარ აცხადებს ინფორმაციას და აყალიბებს მონაწილეთა სიას.

ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა - 45 პირი.

ტრენინგი უფასოა.

## 6. ტრენინგის მასალები

ტრენინგის მასალებია ტრენერის პრეზენტაციები, ყველა მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტის, მათ შორის ევროპული რეგულაციებისა და დირექტივების ჩამონათვალი და ელექტრონული ბმულები, ასევე საინტერესო საგანმანათლებლო და პრაქტიკული რესურსების ელექტრონული ბმულები.

## 7. ტრენინგის ტექნიკურ-ლოგისტიკური მხარე

უზრუნველყოფილი იქნება პრეზენტაციის ვიზუალიზაცია, კერძოდ, პრეზენტაციების ჩვენება ეკრანზე; დაფა და მარკერები; ინტერნეტთან წვდომა და მარტივი კომუნიკაცია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე; მონაწილეებისთვის დარიგდება ფურცლები და კალმები.

უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მონაწილის სახელისა და დასაქმების ადგილის დემონსტრირება (ფურცელი მაგიდაზე).

## 8. ტრენინგის დაწყება, მსვლელობა და პროცედურა

ტრენინგის გახსნის დროს, ტრენერი მონაწილეებს მოკლედ მოაწოდებს ინფორმაციას:

- *Jean Monnet Project-ის შესახებ;*
- *ტრენინგის მიზნებისა და ტრენინგის დღის წესრიგის შესახებ;*
- *ევროკავშირის გავლენაზე (მათ შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში) საქართველოში პერსონალური მონაცემების სტანდარდების დამკვიდრება-ამაღლებაში;*
- *ტრენერის შესახებ.*

ტრენინგის თემატურ ნაწილზე გადასვლისას 40 წუთი დაეთმობა:

1. ევროკავშირის, როგორც ზენაციონალური და განსაკუთრებული საერთაშორისო სუბიექტის დახასიათებას (20 წუთი)
2. ასოცირების შეთანხმების, როგორც განსაკუთრებული და უნიკალური საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დახასიათებას (20 წუთი)

## 9. ტრენინგის შინაარსი

**9.1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის კონცეფცია და ევროპული სტანდარტი**



ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია პირველი საერთაშორისო აქტია, რომლის მე-12 მუხლიც ეხება პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი კი არა მხოლოდ იცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, არამედ განსაზღვრავს იმ საგამონაკლისო შემთხვევებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია ამ უფლების შეზღუდვა. კომპიუტერული და თვალთვალის ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებამ და პერსონალური მონაცემების დაცვამ აქტუალობა შეიძინა და მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან ევროპულ ქვეყნებში დაიწყო პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის განვითარება. 1981 წელს მიღებულ იქნა ამ სფეროში დღემდე ერთადერთი მრავალმხრივი სამართლებრივად მბოჭავი საერთაშორისო ინსტრუმენტი - პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ 108-ე კონვენცია. გარდა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისა, კონვენციის 55 ხელმომწერს შორის ვხვდებით აფრიკულ, სამხრეთ ამერიკულ და აზიურ ქვეყნებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნის 90-იანი წლებისთვის ევროპის კავშირის ყველა ქვეყანას ჰქონდა პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობა, ერთგვაროვანი მიდგომებისა და სტანდარტების დამკვიდრების მიზნით, 1995 წელს ევროკავშირის 95/46/EC დირექტივამ არა მხოლოდ განამტკიცა პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპები და გააძლიერა დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოების როლი და მნიშვნელობა, არამედ ახალი უფლებებით აღჭურვა მოქალაქეები და კონკრეტული ვალდებულებები გაითვალისწინა მონაცემთა დამმუშავებელი საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში თანამედროვე და გლობალური გამოწვევების ფონზე ევროკავშირში განხორციელებული რეფორმის შედეგად 2018 წლის მაისიდან ამოქმედდა ახალი რეგულაციები, მათ შორის „ოქროს სტანდარტად“ წოდებული მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR), რომელიც უფრო მეტი დაცვის გარანტიებს ითვალისწინებს ინდივიდებისთვის და უკეთ განსაზღვრავს მონაცემთა დამმუშავებელი საჯარო და კერძო ორგანიზაციების ვალდებულებებს. პარალელურად, 2019 წელს დასრულდა „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მოდერნიზაციის პროცესი.

მონაცემთა დაცვის ზოგადმა რეგულაციამ (GDPR), მისი ექსტერიტორიულობის პრინციპის, ნოვაციების, წევრ ქვეყნებში პირდაპირი მოქმედებისა და ევროკავშირის ფარგლებს გარეთ პერსონალური მონაცემების გადაცემის რეგულირების გამო არა მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნებში აამაღლა მონაცემთა დაცვის სტანდარტები, არამედ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დახვეწაზე მთელ მსოფლიოში. ამ რეალიების გათვალისწინებით, ტრენინგი მოიცავს:

- GDPR- ის ძირითად სიახლეებს და მოქმედების სფეროს;
- მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადაცემის რეგულირებას;
- მოდერნიზებული 108-ე კონვენციითა და GDPR -ით ინსპირირებულ რეფორმებს სხვადასხვა ქვეყნებში.

## 9.2 პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა

საქართველომ 2005 წელს აიღო 108-ე კონვენციის სტანდარტებთან შესაბამისი ეროვნული საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულება. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი 2011 წლის 28 დეკემბერს იქნა მიღებული და მიუხედავად იმისა, რომ კანონის მიღება უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯს წარმოადგენდა, თავდაპირველი რედაქციით კანონის მოქმედების სფერო შეზღუდული იყო და არ ვრცელდებოდა ოპერატიულ-სამმებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე, ასევე 2016 წლამდე იყო გადავადებული კერძო სექტორზე ინსპექტორის საზედამხედველო მანდატის ამოქმედება. კანონის მიღების ეტაპზე საქართველოს არ ქონდა რატიფიცირებული ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის დამატებითი ოქმი „ზედამხედველობით ორგანოებთან და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადადინებასთან დაკავშირებით“, შესაბამისად, საზედამხედველო ორგანოს - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დამოუკიდებლობის გარანტიები და დარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების შესაძლებლობები სათანადოდ არ იყო უზრუნველყოფილი.

2013-2017 წლებში პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის დახვეწასა და განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ევროკავშირისა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგმა და ასოცირების შესახებ შეთანხმებამ. სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა პირველ ეტაპზე მოიაზრებდა შესაბამისი ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოს კონსოლიდაციას ევროკავშირის და საერთაშორისო სტანდარტებთან, საერთაშორისო ინსტრუმენტების (მათ შორის, ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის დამატებითი ოქმი, პოლიციის სექტორში პერსონალურ მონაცემთა გამოყენების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის No. R(87)15 რეკომენდაცია) რატიფიცირებას და ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას, აგრეთვე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს ჩამოყალიბებას. მეორე ეტაპზე ძირითად ნიშნულად განისაზღვრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ეფექტიანი ფუნქციონირება და კანონმდებლობის პრაქტიკაში დანერგვა როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალ დონეზე უზრუნველყოფა და საერთაშორისო სტანდარტების დამკვირდება წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირის შორის



ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთ ნაწილსაც. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგები ითვალისწინებს შესაბამისი საკანონმდებლო და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის გაზრდის მიმართულებით, მათ შორის, სამართალდამცავ ორგანოებში მონაცემთა დაცვის სტანდარტების გამოყენების კონტროლს, მონაცემთა დაცვის სტანდარტების კერძო სექტორზე გავრცელების უზრუნველყოფას, მონაცემთა დაცვის ორგანოს დამოუკიდებლობითა და მისი შესაბამისი რესურსებით აღჭურვას. 2019 წელს საქართველოს პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი, რომელიც პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის GDPR-თან ჰარმონიზებასა და კონსოლიდაციას ემსახურება. აღნიშნულის გათვალისწინებით და ევროპულ სტანდარტთან შესაბამისობის ჭრილში საქართველოს კანონმდებლობის განხილვისთვის, ტრენინგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა:

- კანონმდებლობის შემუშავება-განვითარებაზე ევროკავშირის გავლენა;
- კანონის ძირითადი ცნებები - პერსონალური მონაცემები, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, მონაცემთა სუბიექტი, მონაცემთა დამმუშავებელი, უფლებამოსილი პირი და აშ;
- მონაცემთა დამუშავების პრინციპები და სამართლებრივი საფუძველი;
- ვიდეოთვალთვალის, პირდაპირი მარკეტინგისა და ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების რეგულირების სპეციფიკა;
- ფარული საგამოძიებო მოქმედებების დროს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე ზედამხედველობა;
- მონაცემთა სუბიექტის უფლებები;
- მონაცემთა დამმუშავებლებისა და უფლებამოსილი პირების ვალდებულებები;
- საზედამხედველო ორგანოს - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის როლი და ფუნქციები;
- მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობის დარღვევა და სანქციები;
- ინიციატივები ქართული კანონმდებლობის ევროპულ რეგულაციასთან დაახლოების მიზნით.

## 10. წყაროები

- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ“, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია). არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია: <https://personaldata.ge/>
- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის დირექტივა (EU) 2016/680 „კომპეტენტური ორგანოების მიერ დანაშაულის პრევენციის, გამოძიების, დადგენის, სისხლისსამართლებრივი დევნის ან სასჯელის აღსრულების მიზნით პერსონალურ

მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ“, რომელიც აუქმებს საბჭოს 2008/977/JHA ჩარჩო გადაწყვეტილებას. არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია:

<https://personaldata.ge/>

- ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია „პერსონალური მონაცემების ავტომატური გზით დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“, 28.01.1981; ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244845>.
- ევროპის საბჭოს „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის დამატებითი ოქმი „ზედამხედველობით ორგანოებთან და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადადინებასთან დაკავშირებით“, 08.11.2001; რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 27 ივლისის №871-რს დადგენილებით, ძალაშია 2014 წლის 1 მაისიდან; ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2352161>.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R(87)15 წვერი ქვეყნებისადმი, პოლიციის სექტორში პერსონალურ მონაცემთა გამოყენების რეგულირებასთან დაკავშირებით, 17.09.1987; ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168062dfd4>.
- სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, არაოფიციალური თარგმანი, გვ. 17, ხელმისაწვდომია: [http://migration.commission.ge/files/savizo-liberalizaciis-samoqmedo-gegma\\_qartulad.pdf](http://migration.commission.ge/files/savizo-liberalizaciis-samoqmedo-gegma_qartulad.pdf).
- ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, მე-14 მუხლი. ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA>
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/4276790?publication=5>
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/1561437?publication=22>
- FRA data protection handbook, 2018 edition - <https://fra.europa.eu/en/publication/2018/handbook-european-data-protection-law-2018-edition>